www.24saati.ge

24 საათი

The New York Times
International Weekly
ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | პარასკევი, 23 აგვისტო, 2013 წელი. | №3350 (157) | ფასი 50 თეთრი

ამერიკელებს მოწონთ ქართული მესიჯები

ირაკლი ალასანიას ვიზიტი აშშ-ში

თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია აშშ-ში იმყოფება. იგი, ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრ ჩაკ ჰეიგელს შეხვდა. აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ინფორმაციით, ჰეიგელმა მადლიერება გამოხატა იმისთვის, რომ საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების მხარდამჭერი ძალების (ISAF) მისიაში მონაწილეობას აგრძელებს და ქართველი ჯარისკაცებისა და მათი ოჯახების მიერ გაღებული მსხვერპლისთვის ირაკლი ალასანიას მადლობა გადაუხადა.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

„ობობას ქსელი" ციხეებში

მაგდა ლეკიაშვილი

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" კრიმინალური ავტორიტეტების მხრიდან სასჯელაღსრულების დაწესებულებების მართვის სქემას აქვეყნებს. პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა აკაკი მინაშვილმა გუშინ ჟურნალისტებთან ციხეებში ე.წ მაყურებლებისა და იმ სქემის შესახებ ისაუბრა, რომლითაც, დეპუტატის მტკიცებით, კრიმინალური სამყარო დანაშაულებრივ საქმიანობას აკონტროლებს. მინაშვილის თქმით, კრიმინალური ავტორიტეტები ციხეებს სასჯელაღსრულების ადმინისტრაციასთან შეთანხმებით მართავენ. ეს კი ობობას ქსელია, რომელიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გაიბა და ქვეყანაში კრიმინოგენულ ვითარებას აუარესებს. მათ შორის, ხელს უწყობს ისეთი მძიმე დანაშაულების წახალისებას, როგორიც არის მკვლელობა, ყაჩაღობა და გაუპატიურება. მინაშვილის თქმით, საპყრობილეებში არსებულ ვითარებაში მთავარი მოქმედი პირი კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერიაა, მეტსახელად ტარასა, რომელიც 2006 წელს სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყების მოწყობის იდეოლოგი იყო. დეპუტატის განცხადებით, ფოცხვერია ყოველ ნაბიჯს სოზარ სუბარის უწყების მაღალი თანამდებობის პირებთან შეთანხმებით დგამს. სხვადასხვა კრიმინალურ ავტორიტეტებს ტარასა ე.წ რეზბალნიცაზე, ციხის სამედიცინო დაწესებულებაში იბარებს. ფოცხვერია ციხის მაყურებლებს საქმიანობის სქემას უხსნის, მითითებებსა და რეკომენდაციებს აძლევს, ამის შემდეგ კი მათ სხვადასხვა საპყრობილეებში დავალებების შესასრულებლად ანაწილებს.

გაგრძელება
მე-3 გვერდზე

ბრედლი მენინგს 35 წელი აკმარეს

ივა შილაკაძე

ოთხშაბათს, გვიან საღამოს, ფორტ-მიდში (მერილენდის შტატი) სამხედრო ტრიბუნალმა გამოაცხადა სამხედრო ანალიტიკოსის, რიგითი ბრედლი მენინგის განაჩენი, რომელიც ივლისში, დაახლოებით, 20 პუნქტით ცნეს დამნაშავედ საიტ „ვიკილიკსისთვის" საიდუმლო სამხედრო და დიპლომატიური დოკუმენტების გადაცემისთვის. მენინგს 35 წელი მიუსაჯეს. მიმომხილველთა უმრავლესობის ცალსახა შეფასებით, რასაც ჩვენც ვეთანხმებით, ეს ამ შემთხვევისთვის საკმაოდ მსუბუქი სასჯელია.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების გამოძიებას რუსეთი ბლოკავს

თამთა კახაძე
ივა შილაკაძე

სირიის ოპოზიციამ ოთხშაბათს ის კადრები გამოაქვეყნა, რომლებშიც, მათი მტკიცებით, დამასკოსთან ახლოს ასადის ძალების მიერ ქიმიური იარაღის გამოყენების შედეგები ჩანს, რასაც ასობით, ზოგი მონაცემებით, ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის ბავშვები და ქალები.

ამის შემდეგ, გუშინ, გაეროს უშიშროების საბჭომ მოწოდება გააკეთა, დაუყოვნებლივ მოხდეს აღნიშნულის გამოძიება.

გაგრძელება
მე-4 გვერდზე

1 აშშ დოლარი	1.6643⇓
1 ევრო	2.2110⇓
1 ინგლისური გირვანქა	2.5933⇓
1 თურქული ლირა	0.8622⇓
100 რუსული რუბლი	5.0433⇓

თბილისი	31°C - 20°C
ქუთაისი	33°C - 20°C
ზუგდიდი	32°C - 21°C
ბათუმი	27°C - 21°C

ნავთობი	3.19	+0.00	+0.16%
გაზი	3.58	+0.11	+3.07%
ოქრო	1,743.20	-9.80	-0.56%
ხორბალი	868.50	+12.25	+1.41%

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
www.24saati.ge
ჩვენი პარტნიორები:
თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს
FM 102.4
ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121

ნოკაუტი

კახა ფაჩუაშვილი

ხიდჩატეხილობის პრობლემასთან გვაქვს საქმე ქართულსა და ევროპულ ფეხბურთს შორის. იმხელა უფსკრული გაჩენილა, რა ამოავსებს ამას, რთული სათქმელია. ლონდონის «ტოტენჰემთან» შეხვედრაში დინამოელები ეზოს ბავშვებს ჰგავდნენ, რომლებიც ახლაღა ცდილობენ ფეხბურთის თამაშს. მწარე სიმართლეა, მაგრამ ფაქტია, «დინამო» ისეთ ნოკაუტში აღმოჩნდა, რომ ამისგან გამოკეთებას დიდი ძალისხმევა დასჭირდება.

გაგრძელება
მე-7 გვერდზე

რობერტო სოლდადომ დუბლი შეასრულა

ორმოცი ფილმი ადამიანის უფლებებზე

ია მერკვილაძე
ნიუ იორკი, აშშ



უცებ ვინმემ რომ მკითხოს ადამიანის უფლებებზე გადაღებული რომელი ამერიკული ფილმები გაგახსენდებაო, მყისიერად აუცილებლად შემდეგ ათს დავასახელებ: ნუ მოკლავ ჯაფარას", მისისიპი ცეცხლში", გრძელი გზა სახლისკენ", ერინ ბროკოვიჩი", საღამო მშვიდობისა და იღბალს გისურვებთ", მილკი", მე ვარ სემი", ფილადელფია" და შემქმნელები: ქალები, რომლებმაც ამერიკა შექმნეს". დიდი კინოსტუდიების პარალელურად აშშ-ის როგორც ნაციონალური, ასევე ადგილობრივი სატელევიზიო არხები თავადაც იღებენ მოკლე თუ გრძელმეტრაჟიან ფილმებს ადამიანის უფლებებისთვის მებრძოლ ორგანიზაციებზე, საინიციატივო ჯგუფებზე თუ ერთ კონკრეტულ ადამიანზე.

გაგრძელება
მე-5 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: «არ მგონია, რომელიმე მთავრობის ინტერესი იყოს საინფორმაციო გზის გადაკეტვა»

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის თქმით, საინფორმაციო გზის გადაკეტვა არც ერთი მთავრობის ინტერესი არ უნდა იყოს. მისი თქმით, გასული წლიდან საქართველოში რამდენიმე ტელეარხი დაიხურა, ესენია: ტელეკომპანია „პიკი“, ტელეკომპანია „საქართველო“, ტელეკომპანია „რეალ TV“.

„დახურვის პირას არის მისული „მაესტრო“, როგორც ამბობენ - „მეცხრე არხიც“, თუ იქ რამე აფიორას და რაღაც კომბინაციას არა აქვს ადგილი. დაიკეტა ასევე ადგილობრივი საინფორმაციო საშუალებები და რამდენიმე გაზეთი. ეს არის ფაქტი. მე ერთი რამ ვიცი. შეიძლება, ჩემი მთავრობის დროს იდეალური ვითარება არ იყო, მაგრამ უფრო მეტი ტელევიზია გაიხსნა, ვიდრე იყო მანამდე. არ მგონია, რომ რომელიმე მთავრობის ინტერესი იყოს საინფორმაციო გზის გადაკეტვა. ბოლო თვეებში, არ ვიცი ზუსტად რა მიზეზით, მე ხელაღებით ყოველთვის თითს ვერ გავიშვერ, მაგრამ ფაქტია, რომ რამდენიმე ტელეარხი სატელევიზიო სივრციდან გაქრა,“ - აღნიშნა პრეზიდენტმა. მისივე თქმით, საქართველო პატარა ქვეყანაა და თუ საინფორმაციო სივრცე არ იქნება, ჭორები გავრცელდება, ჭორის ინსტიტუტი კი კიდევ უფრო უარესი ინსტიტუტია.

„ამიტომ ვფიქრობ, საქართველოში რაც მეტი გაზეთი, ტელევიზია იქნება, მათ შორის ობიექტური, არაობიექტური, მიკერძოებული, მატყუარაც და სიმართლის მთქმელიც, ხალხი გამოიტანს თავის საერთო აზრს,“ - აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა.

იძინა ივანიშვილს მილიონად შეფასებული ნახატის შეძენა სურს

«ნიუ იორკ პოსტის» ინფორმაციით, ნიუ-იორკში მცხოვრები ქართველი მხატვარი რომან კრიხელი უახლოეს ხანებში გასაყიდად გამოიტანს თავის მორიგ ნამუშევარს - „მსოფლიოს ყველაზე მშვენიერი ქალი“, რომლის შეძენის მსურველთა შორის ბიძინა ივანიშვილიც არის. გამოცემის ინფორმაციით, ქართველი მხატვარი, რომლის შემოქმედების თაყვანისმცემელთა შორის უამრავი ცნობილი ადამიანია, მათ შორის მომღერალი ლენი კრავიტსი, ამ დრომდე არ ამხელს ტილოზე გამოხატული ქალბატონის ვინაობას.

როგორც «ნიუ იორკ პოსტის» ხელოვნებათმცოდნემ მალკოლმ ჰარისმა განუცხადა, გავრცელებული ინფორმაციით, რომან კრიხელის ნამუშევარი შესაძლოა, 1 მილიონ დოლარად გაიყიდოს. მისი შეძენის მსურველთა შორის კი სახელდებიან „ფეისბუქის“ დამფუძნებელი მარკ ცუკერბერგი, YouTube-ის თანადამაარსებელი ჩად ჰარლი და საქართველოს პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი, რომელიც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძვირადღირებული არტკოლექციის მფლობელია.

ქართველი ფერმწერი რომან კრიხელი 30 წელზე მეტია, ნიუ-იორკში საქმიანობს.

შსს-მ ნარკოტიკული საშუალების შემოტანის ფაქტზე ერთი პირი დააკავა

თბილისის მთავარი სამმართველოს დეტექტივების სამმართველოს თანამშრომლებმა, მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული ბექა ვ. საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე დააკავეს.

შსს-ს ინფორმაციით, სამართალდამცველებმა დაკავებულის პირადი ჩხრეკისას ამოიღეს ნარკოტიკული საშუალებები: „ბუპრენორფინის“ აბის ნაფხვენი და 50 აბი „ტრამადოლი“. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბექა ვ-მ ნარკოტიკები თბილისის საერთაშორისო აეროპორტში გერმანიიდან ჩამოიტანა.

ნარკოლოგიური შემოწმებით, ბრალდებულს „ოპიუმის“ ჯგუფის ნარკოტიკული საშუალების მოხმარების ფაქტი დაუდგინდა. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

გამოძიება საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (სსსკ-ის 262-ე მუხლის 1-ელი ნაწილით).

ბიძინა ივანიშვილი უკმაყოფილოა „მე-9 არხის„ ჟურნალისტების ქცევით

პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადებით, „მე-9 არხზე“ ჟურნალისტები „ბი-ბი-სი“-დან და „სი-ენ-ენი“-დან არ გადასულან. მისი თქმით, ბევრმა უმუშევარმა არაპროფესიონალმა «მე-9 არხზე» ისწავლა, რაშიც ხელფასი აიღო. ივანიშვილის ინფორმაციით, „მე-9 არხის“ შესახებ ბევრი სერიოზული წინადადება განიხილეს.

„ძალიან ცუდად მოიქცნენ ჟურნალისტები და ტელევიზიის ხელმძღვანელობა. საინფორმაციო გამოშვების შემდგომ დახურეს ტელევიზია. ამ დროს მათ თვითონვე ჰქონდათ განცდა, რომ ბევრია მყიდველი და მსურველი, რომლებიც მე ვერ ვნახე ისეთი დახურული ქმედებით, რომ ტელევიზიის ირგვლივ აჟიოტაჟი არ გამომეწვია. მე ვახერხებდი ყველა პოტენციურ მყიდველთან საუბარს. ქალბატონ ლუბას მდგომარეობა ავუხსენი და ვუთხარი, რომ ტელევიზიის ამაზე გვიან დახურვა გვიანი იქნებოდა. ჩემთვის უცნაური იყო ჟურნალისტებისა და ხელმძღვანელობის რეაქცია არხის გათიშვაზე. ამ დროში შეიძლებოდა, სერიოზული მყიდველი ყოფილიყო. თუ იქნება, მოხარული ვიქნები,“ - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა და აღნიშნა, რომ ტელევიზიის მიმართ დამოკიდებულება ყველამ კარგად იცოდა.

„მე საერთოდ არ ვაპირებდი ტელევიზიის გახსნას. მე ვიცოდი შედეგი, რომ ტელევიზიის დაჭერას არ ვაპირებდი. მე თხოვება მინდოდა, ამეშენებინა, ჩამედო ინვესტიცია და უფასოდ მიმეცა უკან. მქონდა კარგი სურვილები, რომ ჟურნალისტებიც უმუშევრები არ ყოფილიყვნენ და აპარატურაც გადამეცა არხებისთვის. მე იმის შემდგომ ვცდილობდი, რომ არ დაზარალებულიყვნენ ჟურნალისტები და ტელევიზია. ეს ვერ მოვახერხე. თვეში, დაახლოებით, 1 მილიონი დოლარი ჯდებოდა ტელევიზიის შენახვა. მე ამას ვაკეთებდი მხოლოდ იმისთვის, რომ ჟურნალისტები არ დაზარალებულიყვნენ. მე მახსოვს, რამდენიმე რამ მთხოვა ქალბატონმა ლუბამ, როდესაც ჩემი განცხადება გავუგზავნე. ერთი მთხოვა, განცხადებიდან ამომეღო, რომ „ინფო 9“ დროებითი პროექტი იყო, რაც მათ იცოდნენ. მერე დამირეკა და მთხოვა, ამომეღო ის, რომ მე ამას ჟურნალისტებისთვის ვაკეთებდი. ვკითხე, რატომ უნდა ამომეღო. ეს დამოკიდებულება იმისთვის უნდათ, რომ გაბრაზებულები და განაწყენებულები იყვნენ. მაშინ როდესაც მე თანმიმდევრულად მოვიქეცი, ეს დამოკიდებულება შოკისმომგვრელი იყო ჩვენთვის. არც ერთი ჟურნალისტი არ გადმოსულა „ბიბისიდან“ და „სიენენდან“ და არც სხვა ცნობილი ტელევიზიიდან, უმრავლესობა არაპროფესიონალი ჟურნალისტი იყო. ეს ისე გამოდიოდა, როგორც სასწავლებელი და ხელფასს იღებდნენ და ახლა მამადლიან, რომ ჩვენ გამოგვიყენაო, ძალიან ცუდ განცხადებებს აკეთებენ,“ - განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

«მე-9 არხის“ გენერალური დირექტორი ლუბა ელიაშვილი კი პრემიერის შეფასებას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ „მე-9 არხზე“ ღირსეული და პროფესიონალი ადამიანები მუშაობდნენ. ლუბა ელიაშვილის თქმით, თავად მიიღო ტელევიზიის დახურვის გადაწყვეტილება, რადგან შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე არხის მუშაობა შეუძლებელი იყო.

„არხის ბოლო, 21:00-საათიანმა საინფორმაციო გამოშვებამ ძალიან ემოციურად და ექსცესების გარეშე ჩაიარა. საინფორმაციო მიჰყავდა გამოცდილ და პროფესიონალ ჟურნალისტს სოფო ჩაკვეტაძეს. თუმცა მიღებული გადაწყვეტილების ფონზე ძალიან რთული იყო გადაცემების მომზადება და არხის დახურვის გადაწყვეტილება, როგორც არხის დირექტორმა, ერთპიროვნულად მე მივიღე,“ - აღნიშნა ელიაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბარში.

ამის პარალელურად, ბოლო დროს მედიაში განვითარებული მოვლენები შეაფასა «ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წევრმა ჩიორა თაქთაქიშვილმა. მისი განცხადებით, «ქართული ოცნება“ ტელევიზიებთან დაკავშირებით ახალ სქემას ქმნის, რომლის მიზანია «იმედის“ გაძლიერება, „რუსთავი 2“-ის დასუსტება და მთელი მედიასივრცის ხელში ჩაგდება. ჩიორა თაქთაქიშვილის თქმით, «საზოგადოებრივი მაუწყებელი» უკვე «ქართული ოცნების“ ზეგავლენის ქვეშ არის. ამის მაგალითად თაქთაქიშვილმა ევროკავშირის ეგიდით ჩატარებული მედიამონიტორინგის შედეგები მოიყვანა. მისი თქმით, ბიძინა ივანიშვილს არ შეუცვლია თავისი დამოკიდებულება მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტური დამოუკიდებლობის მიმართ. თაქთაქიშვილის განცხადებით, აღნიშნული ფაქტი განსაკუთრებით შემაშფოთებელია იმის გათვალისწინებით, რომ ის მხოლოდ მილიარდერი კი არა, ქვეყნის პრემიერიც არის. «ნაციონალური მოძრაობის» წევრის თქმით, „მე-9 არხის“ დახურვამ და ამის პარალელურად მედიის სფეროში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, რომ გადანაწილების ახალი სქემა უკვე შემუშავებულია.

ბიძინა ივანიშვილის განცხადება, თითქოს მე-9 არხის დახურვა მოსალოდნელი არჩევნების წინ ტელეკომპანიიდან მის დისტანცირებას უკავშირდება, სიცრუე და საზოგადოებისთვის თვალში ნაცრის შეყრის მცდელობაა,“ - განაცხადა თაქთაქიშვილმა.

მხოლოდ მოწმეთა ჩვენებები

სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში

„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ სისხლის სამართლის გახმაურებული საქმეების სასამართლო მონიტორინგის შუალედური ანგარიში გამოაქვეყნა. ორგანიზაციის იურისტ გია გვილავას ინფორმაციით, ანგარიშში ასახულია 2013 წლის თებერვლიდან 19 ივლისამდე პერიოდის ინფორმაცია. მისი თქმით, ორგანიზაციის დამკვირვებლები ესწრებიან სხდომებს, სადაც მაღალი თანამდებობის პირთა - ბაჩო ახალაიას, გიგი უგულავას, დავით კეზერაშვილის, ვანო მერაბიშვილის, ირაკლი ოქრუაშვილის, ნიკა გვარამიას, თენგიზ გუნავას, მეგიზ ქარდავას, გეგი ქელბაქიანისა და არჩილ ჩოგოვაძის საქმეები იხილება. გვილავას განმარტებით, სასამართლო პროცესები უკვე დასრულებულია და საქმეებზე საბოლოო განაჩენი გამოტანილია, თუმცა ანგარიშში მოხვდა ისეთი საქმეები, რომლებიც არ დასრულებულა.

„სასამართლო პროცესებზე მხარეთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დაცული იყო. დაცვასა და ბრალდებას საკუთარი პოზიციების გამოხატვის თანაბარი საშუალება ჰქონდათ. მათ შეეძლოთ, შეუფერხებლად ესარგებლათ საპროცესო კანონმდებლობით გარანტირებული უფლებებით. ბრალდება, ძირითადად, მხოლოდ მოწმეთა ჩვენებებს ეყრდნობოდა. სხვა მტკიცებულება ანგარიშის მომზადების მომენტამდე არ ყოფილა წარმოდგენილი, რამდენიმე გამონაკლისის გარდა,“ - განაცხადა გვილავამ.

მისივე ინფორმაციით, კვლევის დროს რამდენიმე შემთხვევაში პროკურატურის მიერ მიწვეულმა მოწმეებმა მოგვიანებით ჩვენებები შეცვალეს, ასევე დაცვის მხარის ზოგიერთი წარმომადგენელი პროცესის შესახებ პოლიტიკურ განცხადებებს ავრცელებდა.

„პროცესებზე სასამართლომ მხარეებისა და ბრალდებულის მიმართ დისციპლინური ღონისძიება სამჯერ გამოიყენა. ყველა შემთხვევაში, როდესაც ბრალდებულებს შესთავაზეს სასამართლო პროცესის ჩატარება ნაფიცი მსაჯულების მონაწილეობით, მათ შეთავაზებაზე უარი განაცხადეს იმ მოტივით, რომ საზოგადოებაში მათ შესახებ უკვე გარკვეული მცდარი აზრი იყო ჩამოყალიბებული, რაც სამართლიანი გადაწყვეტილების მიღებას ხელს შეუშლიდა,“ - აცხადებს იურისტი და აღნიშნავს, რომ სასამართლომ რამდენიმე შემთხვევაში წინასწარ არ გამოაქვეყნა ინფორმაცია იმ სხდომების შესახებ, რომლებზეც აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხი უნდა განხილულიყო. ასეთი პრაქტიკა კი, იურისტის აზრით, ხელს უშლის გახმაურებული პროცესების საჯაროობას.

„ბაჩანა ახალაიას საქმეში, საზოგადოების დიდი ინტერესის არსებობის მიუხედავად, პროკურატურა შეეწინააღმდეგა სხდომის ვიდეოგადაღებას და ამ გზით პროცესის გასაჯაროებას. სასამართლო პროცესების მიმდინარეობისას საზოგადოების წარმომადგენლები და ორგანიზებული ჯგუფები ბრალდებულების საწინააღმდეგო აქციებს მართავდნენ,“ - განაცხადა გვილავამ.

რაც შეეხება ვლადიმერ ბედუკაძის საქმეს, ორგანიზაციის განმარტებით, მათ უკვე დაფიქსირეს პოზიცია და ამიტომ ობიექტურები ვერ იქნებოდნენ. შესაბამისად, ამ საქმეზე მონიტორინგი არ განუხორციელებიათ.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო“ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებებისგან თავს იკავებს, რადგან ზოგიერთ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული არ არის. ორგანიზაციაში აცხადებენ, რომ აღნიშნული ანგარიში პროკურატურას უკვე გადაეგზავნა და მისგან პასუხს 2 სექტემბრისთვის ელოდებიან.

უარი რეფერენდუმზე

მაგდა ლეკიაშვილი

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარების შესახებ სარეფერენდუმო საკითხი არ დაარეგისტრირა. გუშინ გამართულ სხდომაზე, კომისიის გადაწყვეტილებით, საინიციატივო ჯგუფის შემადგენლობას (ნანა კაკაბაძე, ტატიანა ხოხიაშვილი, ავთანდილ რეხვიაშვილი, გელა ნიკოლაიშვილი და გია ტაბლიაშვილი) და მათ მიერ შეთავაზებულ სარეფერენდუმო საკითხს - „გსურთ თუ არა, რომ საქართველოში 2014 წელს ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები? დიახ, არა“ - უარი ეთქვა რეგისტრაციაზე. საინიციატივო ჯგუფი ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნის მიზეზად იმას ასახელებდა, რომ ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები „არანორმალურ და არაორდინალურ გარემოში ჩატარდა.» როგორც საინიციატივო ჯგუფის წევრი გელა ნიკოლაიშვილი ამბობს, ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რა თქმა უნდა, ქართველი ხალხის დიდი გამარჯვება იყო, მაგრამ ნორმალურ ვითარებაში არ ჩატარებულა. ამ არჩევნებში ვინც კი ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“ ან „ნაციონალურ მოძრაობას“, ეს ხმა, ფაქტობრივად, გადარჩენის ინსტინქტით იყო მიცემული და არა - რეალურად გაანალიზებული და პოლიტიკურ ორიენტაციებზე დაფუძნებული.

„ისინი, ვინც „ოცნებას“ აძლევდა ხმას, ფიქრობდა, რომ თუ „ნაციონალური მოძრაობა“ დარჩება, ჩვენი გადარჩენა არ იქნება და ჩვენ ციხე ან სიკვდილი მოგველის. ასევე, ვინც „ნაციონალურ მოძრაობას“ მისცა ხმა, იქიდანაც გადარჩენის საკითხი იდგა. უფრო მეტი იყო ისეთი, ვინც შიშის და მოსყიდვის გამო მისცა ხმა. აქედან გამომდინარე, დღეს უკვე არ არის ვითარება, რომ ვიღაცამ შიშით და სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მისცეს ხმა. იმის გათვალისწინებით, რომ ეს ბოლო არჩევნები არანორმალურ და არაორდინალურ ვითარებაში ჩატარდა, დღეს, უკვე დალაგებულ სიტუაციაში, უფრო ადეკვატურად აისახება ხალხის განწყობა პარლამენტში,“ - განაცხადა ნიკოლაიშვილმა.

ცესკო-ს გადაწყვეტილების მართებულობაზე თავად კომისიაში საუბრობენ. საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის იურიდიული დეპარტამენტის უფროსი არჩილ ანასაშვილი განმარტავს, რომ თუ პარლამენტს დაითხოვენ, ვადამდელი არჩევნები ისედაც უნდა ჩატარდეს 60 დღეში და ამას რეფერენდუმი არ სჭირდება. რაც შეეხება მეორე საკითხს - პარლამენტის დათხოვნას, ანასაშვილის თქმით, საინიციატივო ჯგუფს სარეფენდუმოდ ეს კითხვა ცესკო-ში საერთოდ არ შეუტანია. **„და რომც შემოეტანათ, ის კონსტიტუციასთან შეუსაბამო იქნებოდა, ვინაიდან პარლამენტის დათხოვნის მექანიზმები კონსტიტუციაშივეა გაწერილი, ისევე როგორც პარლამენტის წევრების უფლებამოსილების ვადამდე ადრე შეწყვეტა. არც ერთ ამ პუნქტში, რომლებიც კონსტიტუციაშია გაწერილი, რეფერენდუმის გზით საქართველოს პარლამენტის დათხოვნა ან მისი წევრებისთვის უფლებამოსილების შეწყვეტა გათვალისწინებული არ არის. შესაბამისად, მათი მოთხოვნა საქართველოს კონსტიტუციას არ შეესაბამებოდა,“** - ამბობს ანასაშვილი.

საინიციატივო ჯგუფის წევრები ცესკო-ს გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ. ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ამბობს, რომ ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ კანონის ინტერპრეტაცია საკუთარი პოლიტიკური ნების შესაბამისად გააკეთა. კაკაბაძისთვის ცალსახაა, რომ სარეფერენდუმო საკითხის დარეგისტრირებაზე უარი არანაირ კანონს არ ეფუძნება და მას შეიძლება, პოლიტიკური უარი ეწოდოს.

„ცესკო-ს წინააღმდეგ სარჩელს შევიტანთ არა იმიტომ, თითქოს იმედი გვაქვს, სასამართლო იმდენად დამოუკიდებელია, რომ ჩვენს სასარგებლო განაჩენს გამოიტანს, არამედ ამ გადაწყვეტილების გაპროტესტება გვსურს. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯერჯერობით მხოლოდ სიტყვიერად გაგვაცნეს. სავარაუდოდ, დღეს ჩაგვბარდება ოფიციალური დოკუმენტი, სადაც გადაწყვეტილების მიზეზები და ჩვენს მოთხოვნაზე უარის თქმა შესაბამისად უნდა იყოს დასაბუთებული. ამ ყველაფერს გავეცნობით და სარჩელს შევადგენთ, რომელსაც, სავარაუდოდ, ხვალ შევიტანთ სასამართლოში,“ - განაცხადა გუშინ ნანა კაკაბაძემ.

გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
რედაქცია: სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა* ტელ: 899 22 09 49. კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

ამერიკელებს მოწონთ ქართული მესიჯები

პირველი გვერდიდან

„თავდაცვის მდივანმა ჩაკ ჰეიგელმა მაღალი შეფასება მისცა საქართველოს ძალისხმევას, გაზარდოს სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებულ ძალებზე, რადგან ასეთი ქმედებები თავდაცვის რეფორმის გზით დემოკრატიული პროგრესის ძლიერი მაგალითია,“ - ნათქვამია პენტაგონის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

როგორც აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის ვებგვერდზეა აღნიშნული, ჩაკ ჰეიგელმა, აშშ-ს სახელით, ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისკენ საქართველოს მისწრაფების მხარდაჭერა გამოხატა. მან ასევე ყურადღება გაამახვილა საქართველოში სამართლიანი არჩევნების ჩატარებაზე და აღნიშნა, რომ საქართველო აგრძელებს დემოკრატიული მონაპოვრის კონსოლიდირებას, როგორც ეფექტურ საშუალებას ამ მისწრაფების წინსვლისთვის.

„მინისტრები შეთანხმდნენ, რომ თავდაცვის სფეროში აშშ-საქართველოს თანამშრომლობას გააგრძელებენ,“ - ნათქვამია აშშ-ს თავდაცვის დეპარტამენტის მიერ გავრცელებულ პრესრელიზში.

როგორც თავად ირაკლი ალასანიამ შეხვედრის შემდეგ განაცხადა, მან მიიღო გარანტია, რომ საქართველოს დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი მუდმივად იქნება რუსეთ-ამერიკის დიალოგის ნაწილი.

„ამერიკის და რუსეთის თავდაცვის მინისტრების შეხვედრაზე საქართველოს თემამ წამოიწია. მე ასევე მივიღე ყველანაირი გარანტია იმისა, რომ საქართველოს დეოკუპაციის და ტერიტორიული მთლიანობის, ასევე ნატო-ში ინტეგრაციის საკითხი მუდმივად იქნება რუსეთ-ამერიკის დიალოგის ნაწილი, ვიდრე რუსეთის ფედერაცია არ შეეგუება იმ ფაქტს, რომ მან უნდა გაიყვანოს თავისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან,“ - აღნიშნა ალასანიამ. მისივე თქმით, საქართველო დაინტერესებულია, რომ სოჭის ოლიმპიადა უსაფრთხო გარემოში ჩატარდეს.

„აქედან გამომდინარე, აშშ, ისევე როგორც ჩვენი სხვა რეგიონული პარტნიორები, მიესალმება საქართველოს ნაბიჯებს, რომ კონტრტერორისტულ საკითხებზე კოორდინაციაში ვიყოთ რეგიონის ქვეყნებთან და მათ შორის - რუსეთის ფედერაციასთან,“ - განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ვიზიტის ფარგლებშივე ირაკლი ალასანია ჰოპკინსის უნივერსიტეტში სიტყვით გამოვიდა. ალასანიამ ცენტრალური აზია-კავკასიის ინსტიტუტის ფორუმზე გამართული მრგვალი მაგიდის ფორმატის შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. შეხვედრაზე განხილვის თემა იყო „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება და კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება“. ფორუმს მოდერატორობას უწევდა ცენტრის ხელმძღვანელი, დოქტორი ფრედ სტარი. საქართველოს თავდაცვის მინისტრის საჯარო გამოსვლა ორი საათის განმავლობაში კითხვა-პასუხის რეჟიმში მიმდინარეობდა. ირაკლი ალასანიამ თავდაცვის სამინისტროში მიმდინარე რეფორმებზე და ახალი მთავრობის პრიორიტეტებზე ვრცლად ისაუბრა. «www.vz.ru“-ს ცნობით, საქართველოს თავდაცვის მინისტრმა განაცხადა, რომ თბილისი მზად არის, მოსკოვთან სამხედრო სფეროში თანამშრომლობა აღადგინოს. თუმცა, მინისტრს მიაჩნია, რომ ამისთვის შესაფერისი პირობები ჯერ შექმნილი არ არის.

ჩვენ რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობისთვის გახსნილები ვართ, თუმცა ამ ეტაპზე აღნიშნულზე საუბარი ნაადრევია,“ - აღნიშნა მინისტრმა ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში გამოსვლისას. მისი თქმით, საქართველო მზად არის, რუსეთთან სოჭის ოლიმპიადის უსაფრთხოების კუთხით ითანამშრომლოს.

„ჩვენ არ გვაქვს ილუზიები, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიული პრობლემისა და ნატო-სკენ ჩვენი მისწრაფების შესახებ პოზიციებს შეიცვლის, თუმცა მზად ვართ, რუსეთთან პოლიტიკური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობა აღვაგდინოთ,“ - დასძინა ირაკლი ალასანიამ.

„ობობას ქსელი“ ციხეებში

პირველი გვერდიდან

„ნაციონალური მოძრაობის“ მიერ გავრცელებული სქემის მიხედვით, ქსნის ციხეს მართავენ მურმან ტვილდიანი, იგივე ხალვა, ირაკლი მალანია, იკო ნოხაძე, კახა გურგენიძე და ედგარ მამედოვი. პარტიის ინფორმაციით, ქსნის ციხეში საერთო რეჟიმს ლაშა ქებურია „უყურებს“, კარცერს - ზაქრო ჯანგულაშვილი, სასადილოს - ჯაბა ხოსბერუაშვილი და ავთანდილ თავაძე, ხოლო სამედიცინო ნაწილს - გიორგი ილდანი. გეგუთის კოლონიას ლაშა კვანტალიანი აკონტროლებს. რუსთავის N17 დაწესებულებას კი გელა ტერტერაშვილი და კირილე ფხაკაძე მართავენ, რომელიც, დეპუტატის ცნობით, ორი პოლიციელის მკვლელობისთვის არის გასამართლებული. ამავე სქემის თანახმად, გლდანის ციხის ე.წ. მაყურებლები არიან ზურაბ ნონიაშვილი და ზურაბ ბრეგაძე, იგივე პრაკოლა. ზურაბ ბრეგაძე გაერო-ს თანამშრომლის მარია ბრილსკას მკვლელობისთვის არის გასამართლებული.

ციხეებში არსებული ვითარებიდან გამომდინარე, აკაკი მინაშვილი სოზარ სუბარის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენებას ითხოვს, რადგან, დეპუტატის განცხადებით, კანონიერი ქურდი ტარიელ ფოცხვერია სწორედ სოზარ სუბართან შეთანხმებით ანაწილებს ციხეებში ეგრეთ წოდებულ „მაყურებლებს“.

„რა შედეგებს იწვევს ის სქემა, რომელიც სასჯელაღსრულების სისტემაში ახალი ხელისუფლების პირობებშია შემოღებული? პირველი: ეს არის კრიმინალი, ძალადობა ციხის სისტემის შიგნით. ჩვენ ამის დამადასტურებელი ძალიან ბევრი ფაქტი გვაქვს და ყველაზე თვალნათელი დადასტურებაა ახალგაზრდა ლევან კორტავას მკვლელობა, რომელიც ციხის ადმინისტრაციის მიერ იყო დაკვეთილი, ხოლო ეს დავალება კრიმინალურმა ავტორიტეტებმა შეასრულეს. მეორე შედეგი - ეს მაყურებლები ციხიდან როგორ აკონტროლებენ დანაშაულს და როგორ აფართოებენ მას ციხის გარეთ,“ - ამბობს აკაკი მინაშვილი და დასძენს, რომ კანონიერი ქურდების მხრიდან საპყრობილეების კონტროლი კვლავ დააბრუნებს საქართველოში იმ მძიმე სენს, რომლისგანაც ქვეყანა ერთხელ უკვე განიკურნა. მინაშვილის განცხადებით, ასეთი სისტემა სპეციალურად „ქართული ოცნების“ მიერ არის შექმნილი და საფრთხეს უქმნის თითოეულ მოქალაქეს.

სწორედ ციხეებში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენის გაზრდა გააპროტესტა გუშინ ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციამ სასჯელაღსრულების სამინისტროსთან. ორგანიზაციის წევრებმა უწყებას პატიმრების მიმართ მეტი ყურადღების გამოჩენა მოსთხოვეს. მათი განცხადებით, საპყრობილეებში ასეთი რეჟიმის დაბრუნება თითოეულ პატიმარს საფრთხეს უქმნის. გარდა ამისა, დაწესებულებებში კიდევ ერთი პრობლემაა ის, რომ პატიმრები შიმშილობას კვლავ აგრძელებენ.

„პატიმრებს არ აძლევენ სამართლებრივი დახმარების საშუალებას. სასჯელაღსრულების დაწესებულებებს ისევ ქურდები მართავენ, სოზარ სუბარი კი ამაზე არ რეაგირებს. სასჯელაღსრულების სამინისტრომ მოგვცეს საშუალება, რომ ციხეში შევიდეთ და იქ მიმდინარე მოვლენებს დავაკვირდეთ,“ - აღნიშნა ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ლექსო კობაიძემ.

არასამთავრობო სექტორის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა, ყოფილმა სახალხო დამცველმა გიორგი ტუღუშმა აღნიშნა, რომ ბოლო დროს მათთან ხშირად შედის წერილები ე.წ ციხის მაყურებლების თემაზე. ხშირია დოკუმენტები, რომლებშიც საუბარია საპყრობილეებში კრიმინალური ავტორიტეტების გავლენაზე. ტუღუშის თქმით, მაშინ, როდესაც თავად იყო სახალხო დამცველი და მცირე პერიოდის განმავლობაში სასჯელაღსრულების მინისტრის თანამდებობაც ეკავა, მსგავსი პრობლემები არ დაფიქსირებულა. ადმინისტრაცია ციხეს სრულად აკონტროლებდა.

საქართველოს პრემიერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინვე უპასუხა ოპონენტების ბრალდებებს. პრემიერის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მხრიდან ციხეებში არსებულ ვითარებაზე საუბარი სირცხვილია, ვინაიდან პატიმრების პირობები, წარსულთან შედარებით, უფრო და უფრო უმჯობესდება.

„როგორ არა აქვთ სინდისი და როგორ საუბრობენ კვლავ ციხეების თემაზე. წარსულთან შედარებით, დღევანდელი ციხეები სანატორიუმია. თუმცა, ჩვენ ჯერ კიდევ ვცდილობთ საპყრობილეებში პირობების გაუმჯობესებას. თათბირი მქონდა სოზარ სუბართან და ვცდილობთ, მაგალითად, C ჰეპატიტის მკურნალობა სრულად ავიღოთ ჩვენს თავზე,“ - ამბობს ბიძინა ივანიშვილი.

რაც შეეხება სოზარ სუბარის უწყების რეაქციას, გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა მიხეილ ღურწკაიამ აკაკი მინაშვილის საპასუხოდ განაცხადა, რომ ციხეებში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები არსებობენ, თუმცა მათ, „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმისგან განსხვავებით, ციხის ადმინისტრაციები არ ნიშნავენ. ღურწკაიას თქმით, ყოფილი ხელისუფლება ცდილობდა, ციხეებში ე.წ. კრიმინალური ავტორიტეტები ჩაენაცვლებინა და ეს მხოლოდ გლდანის ციხეში შეძლო, სადაც თავად იქცა კრიმინალად. ის, რომ პატიმრებს ლიდერი ჰყავთ, სად-ის ხელმძღვანელის განცხადებით, ბუნებრივი პროცესია და მსგავსი პრობლემა ყველა ქვეყნის პენიტენციურ სისტემას გააჩნია, თუმცა სასჯელაღსრულების სამინისტროს შემუშავებული აქვს მექანიზმი მაყურებელთა ინსტიტუტის იდეოლოგიის წინააღმდეგ. მისივე თქმით, „ნაციონალები“ ხელკეტის, ცემის, გაუპატიურებისა და მუქარის მექანიზმებს იყენებდნენ და ციხეს ასე მართავდნენ.

„დღეს ადმინისტრაცია ნამდვილად არ არის გარიგებაში კრიმინალურ ავტორიტეტებთან, მაგრამ თუ დაწესებულებაში პატიმრები თვითონვე გამოავლენენ ე.წ. კრიმინალურ ავტორიტეტს და ლიდერს, ეს ბუნებრივი პროცესია ყველა ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში. ჩვენ ვებრძვით არა პიროვნულად კრიმინალურ ავტორიტეტებს, ჩვენ ვებრძვით იდეოლოგიას და ამისთვის შესაბამისი მექანიზმებიც, სტრატეგიაც და გეგმაც არსებობს, განსხვავებით „ნაციონალური მოძრაობისგან“, რომლის სტრატეგია მხოლოდ ძალადობა, გაუპატიურება და ცემა იყო,“ - განაცხადა ღურწკაიამ და დასძინა, რომ ახალი ხელისუფლების პირობებში ძალადობა, დაახლოებით, 10-ჯერ არის შემცირებული. ქურდულ სამყაროსთან გარიგება კი, სად-ის ხელმძღვანელის თქმით, „ნაციონალური მოძრაობის“ მუშაობის სტილი და ფორმაა.

ბაქო: სომხეთი აზერბაიჯანის მოთმინებით ბოროტად სარგებლობს

«სომხეთი, რომელიც ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმს იყენებს, აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიებზე კვლავ განაგრძობს დემოგრაფიული, კულტურული და ფიზიკური ხასიათის უკანონო ქმედებების ჩადენას. აქ იგულისხმება აეროპორტის აღდგენა, ახალი დასახლებების შექმნა, საცხოვრებელი სახლების, საავტომობილო გზების მშენებლობა და სხვა,“ - ამის შესახებ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრი ელმარ მამედიაროვი გაერო-ს გენერალურ მდივან ბან კი მუნისთვის გაგზავნილ მიმართვაში წერს.

როგორც დოკუმენტშია აღნიშნული, ამ გზით სომხეთი გაერო-ს რეზოლუციას, ჟენევის 1949 წლის კონვენციას და საერთაშორსო სამართლის სხვა დადგენილ ნორმებსა და პრინციპებს უხეშად არღვევს: „სომხეთი უკანონოდ ცვლის აზერბაიჯანის ოკუპირებული ტერიტორიის გეოგრაფიულ დასახელებებს. ამასთან, სირიიდან უკანონოდ ჩამოჰყავს სომხები აზერბაიჯანის ოკუპირებულ ტერიტორიაზე. ჩვენი მონაცემებით, ლაჩინში 24 სომხური ოჯახი ჩაასახლეს, ზანგელანში - 7, კელბაჯარში კი - 27.“

მამედიაროვის ინფორმაციით, მალე სირიიდან ყარაბაღში კიდევ 18 სომხურ ოჯახს ჩაასახლებენ: „ეს სომხეთის რეალურ განზრახვაზე მიანიშნებს, რომელიც სირიაში არსებულ კონფლიქტს აზერბაიჯანის ტერიტორიის ოკუპაციის გასამტკიცებლად იყენებს.“

დიპლომატის აზრით, სომხეთის პოლიტიკა რეგიონში მშვიდობისა და სტაბილურობის დამყარებას ძირს უთხრის: „იმ ფონზე, როდესაც მოლაპარკების პროცესში არავითარი პროგრესი არ შეინიშნება, სომხეთის პოლიტიკის მიზანი ამ ტერიტორიების ანექსიაა.“

«ვინაიდან სომხეთთან მოლაპარაკებების გამართვას შედეგი არ მოაქვს, სტატუს კვოს შემდგომ გაგრძელებას, შესაძლოა, გაუთვალისწინებელი შედეგები მოჰყვეს, რაზეც სრული პასუხისმგებლობა სომხეთს აკისრია,“ - აღნიშნავს მინისტრი წერილის დასასრულს.

ყვარლის რაიონის სოფელ თივში მეჩეთი აშენდება

კახეთში, ყვარლის რაიონის სოფელ თივში მეჩეთი აშენდება. როგორც „ინტერპრესნიუსს“ „სამხრეთ კავკასიაში ხუნძთა ეროვნულ-კულტურული ავტონომიის“ ფილიალის ხელმძღვანელმა ბადრუდინ იბრაგიმოვმა განუცხადა, მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და საჭირო დოკუმენტაცია მუშავდება.

„ახლა გაფორმების სტადიაშია ის ტერიტორია, სადაც მეჩეთი უნდა აშენდეს. არსებობს შეთანხმება რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატთან და რაიონის ხელმძღვანელობასთან, რომ საქართველოს ხელისუფლებისგან არანაირი წინააღდმეგობა არ იქნება. ეს არის სოფელი, სადაც მოსახლეობის 100 პროცენტი მუსლიმანია,“ - განაცხადა იბრაგიმოვმა. მისი თქმით, ამ სოფელში არ არსებობს მეჩეთი, სადაც შესაძლებელი იქნება კოლექტიური ლოცვების ჩატარება. რაც შეეხება დაფინანსებას, როგორც იბრაგიმოვი აცხადებს, ეს მოხდება კერძო შემოწირულობებით. მანვე აღნიშნა, რომ მეჩეთის მშენებლობა მაშინვე დაიწყება, როგორც კი დასრულდება მუშაობა საჭირო დოკუმენტებზე.

თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის 150 ან 300-ევროიანი გადასახადი წესდება

1 სექტემბრიდან თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის ტრანზიტული ნომრების მქონე, ფურგონის ტიპის ე.წ. Panel Van-ებისა და მიკროავტობუსების მფლობელები 150 ან 300 ევროს გადაიხდიან. კერძოდ, 150 ევროს ცარიელი სატრანსპორტო საშუალებისთვის, 300 ევროს - დატვირთულისთვის.

ამ ცვლილების შესახებ ინფორმაცია საქართველოს ეკონომიკის სამინისტრომ გაავრცელა. თურქეთის რესპუბლიკის კანონმდებლობით, 2004 წლიდან ტრანზიტული სანომრენიშნიანი დახურული ფურგონის ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებებისათვის დაწესებულია ტრანზიტის გადასახადი (ცარიელ სატრანსპორტო საშუალებაზე - 600 ევრო, დატვირთულ სატრანსპორტო საშუალებაზე - 1200 ევრო), რომელიც ვრცელდება ყველა ქვეყნის ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე და 2013 წლის 1 ივლისამდე გამონაკლისს წარმოადგენდა მხოლოდ საქართველო. 2013 წლის პირველი ივლისიდან საქართველოს მიმართაც ამოქმედდა დროებით შეჩერებული ზემოაღნიშნული სატრანზიტო გადასახადი და ივლისის დასაწყისში თურქეთის საზღვარზე გაჩერებულ იქნა ევროპის მხრიდან საქართველოს მიმართულებით მოძრავი რამდენიმე ათეული ფურგონის ტიპის სატრანსპორტო საშუალება, რომელთა მფლობელებმა დაწესებული თანხა ვერ გადაიხადეს.

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ჩარევისა და თურქეთის მხარესთან ოპერატიული მოლაპარაკებების შედეგად, მიღწეულ იქნა შეთანხმება აღნიშნული გადასახადის დროებით შეჩერებისა და გადახედვის შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ შესაბამისი მოლაპარაკებების შედეგად, თურქეთის მხარემ მიიღო კომპრომისული გადაწყვეტილება არსებული სატრანზიტო გადასახადის საქართველოსთვის მნიშვნელოვნად შემცირების შესახებ და 2013 წლის პირველი სექტემბრიდან ტრანზიტულნომრიანი ფურგონის ტიპის ე.წ. Panel Van-ებისა და მიკროავტობუსების თურქეთის ტერიტორიაზე ტრანზიტისთვის მათი მფლობელები, მოქმედი ტრანზიტის გადასახადის (600 ევრო და 1200 ევრო) ნაცვლად, გადაიხდიან 150 ევროს ცარიელი სატრანსპორტო საშუალებისთვის და 300 ევროს - დატვირთული სატრანსპორტო საშუალებისთვის. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მიმართავს ზემოაღნიშნული სატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს, შემდგომი გაუგებრობის თავიდან აცილების მიზნით, გაითვალისწინონ აღნიშნულები ინფორმაცია და დამატებითი კითხვებისთვის მიმართონ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს,“ - ნათქვამია სამინისტროს ინფორმაციაში.

ევროკავშირმა ეგვიპტეს იარაღის მიწოდება და ფინანსური დახმარება შეუჩერა

ევროკავშირმა ეგვიპტეს, სადაც მთავრობასა და ისლამისტებს შორის დაპირისპირება არ ცხრება, ფინანსური დახმარება შეუწყვიტა. ევროკავშირის ქვეყნები ეგვიპტეს იარაღის მიწოდებასაც შეუჩერებენ. აღნიშნულის შესახებ ევროკავშირის წევრი ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრები ოთხშაბათ საღამოს ბრიუსელში საგანგებო შეხვედრაზე შეთანხმდნენ. 2012 წელს ევროკავშირმა ეგვიპტისთვის 5 მილიარდი ევროს დახმარების გაცემა დაამტკიცა. ქვეყანაში ვითარების დაძაბვა არმიის მიერ მოქმედი პრეზიდენტის მოჰამედ მურსის გადაყენებას მოჰყვა, რის შემდეგაც კაიროს ქუჩებში მისი მხარდამჭერების გამოსვლები არ ცხრება. დაპირისპირებას ასობით ადამიანი ემსხვერპლა. ამ პერიოდში მთავრობამ «მუსლიმანი ძმების“ ლიდერების უმრავლესობა დააპატიმრა.

ბან კი მუნი სანკტ-პეტერბურგში «დიდი ოცეულის˝ სამიტს დაესწრება

გაეროს გენერალური მდივანი ბან კი მუნი «დიდი ოცეულის“ სამიტს დაესწრება, რომელიც სექტემბრის დასაწყისში სანკ-პეტერბურგში გაიმართება. ამასთან, გავრცელდა ინფორმაცია, რომ 4 სექტემბერს ბან კი მუნი სანკტ-პტერებურგის სახელმწიფო უნივერსიტეტში ლექციას წაიკითხავს. აღნიშნულის შესახებ «იტარ-ტასი“ იუწყება. «დიდი ოცეულის“ სამიტზე ამერიკის პრეზიდენტი ბარაკ ობამაც ჩავა, თუმცა რუსეთის მიერ ედუარდ სნოუდენისთვის დროებითი თავშესაფრის მინიჭების შემდეგ, აშშ-ს პრეზიდენტი მოსკოვში აღარ ჩადის პუტინთან ორმხრივი შეხვედრის გასამართად. ცნობისათვის - ამერიკის ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილმა თანამშრომელმა სნოუდენმა ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამა გამომამჟღავნა. სნოუდენს აგვისტოს დასაწყისში რუსეთმა დროებითი თავშესაფარი მიანიჭა.

ბო სილაი სასამართლოს წინაშე წარდგა

ჩინეთში ბო სილაის სასამრთლო პროცესი დაიწყო, რომელსაც ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ ჩინეთის ხელისუფლებაში, შესაძლოა, მაღალი თანამდებობა დაეკავებინა. «კომპარტიის» ქალაქ ჩუნცინის კომიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს ქრთამის აღებაში, კურუფციასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება ბრალი. 64 წლის პოლიტიკოსი წელიწადნახევარია, საჯაროდ არ გამოჩენილა. ბო სილაის მეუღლე გუ კაილაი გასული წლის აგვისტოში ბრიტანელი ბიზნესმენის ნილ ჰეივუდის მკვლელობის ხელშეწყობაში დაადანაშაულეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ბო სიალის საქმიანობის ძიებაც ცოლის დანაშაულის გამჟღავნების შემდეგ დაიწყო.

«ელექტრონული წერილების უკანონოდ ნახვა ამერიკამ აღიარა˝

დასავლური მედიის ცნობით, ედვარდ სნოუდენის მიერ ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტოს საიდუმლო პროგრამის გამომჟღავნებიდან ორი თვის შემდეგ ამერიკამ აღიარა, რომ კანონი დაარღვია და იმ მოქალაქეებს ელექტრონულ წერილებსაც კითხულობდნენ, რომლებსაც ტერორიზმთან კავშირი არ აქვთ. გავრცელებული ინფორმაციით, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სააგენტომ 2008-2011 წლებში უკანონოდ 56 000 ელექტრონული წერილი ნახა.

ამასთან, როგორც «ნიუ-იორკ თაიმსი“ წერს, ამერიკის ხელისუფლება თითქმის ასრულებს თვალთვალის ახალ სისტემაზე მუშაობას, რომელიც ქუჩაში დამონტაჟებული ვიდეოთვალით კონკრეტული ადამიანის ამოცნობის საშუალებას იძლევა. გამოცემის მიხედვით, ამერიკის ეროვნული უსაფრთხოების სამინისტრომ ამ ახალი ტექნოლოგიის გამოცდა უკვე აწარმოა.

ტაილანდის სასამართლომ ირანელები აფეთქებების მოწყობის მცდელობაში დამნაშავედ ცნო

ტაილანდის სასამართლომ ირანის ორი მოქალაქე ბანგკოკში აფეთქებების მოწყობის მცდელობაში ცნო დამნაშვედ. «ბი-ბი-სი“-ს ინფორმაციით, ერთ-ერთ დამნაშავეს სამუდამო პატიმრობა მიესაჯა, მეორე მათგანს კი - 15 წლით თავისუფლების აღკვეთა. ირანის მოქალაქეები მას შემდეგ დაიჭრეს, რაც 2012 წლის თებერვალში თვითნაკეთი ასაფეთქებელი მოწყობილობები ბანგკოკში მათ ბინაში აფეთქდა. ირანელები ბრალდებას არ აღიარებენ. ტაილანდის ხელისუფლების ვარაუდით, მათი სამიზნე ქვეყანაში მყოფი ისრაელის დიპლომატები იყვნენ.

ნახევრად შიშველი მამაკაცი მერკელის თვითმფრინავში შევარდა

გერმანიის ხელისუფლება ცდილობს, გამოიძიოს, როგორ მოახერხა ნახევრად შიშველმა მამაკაცმა, რომელიც ნარკოტიკის ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა, გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელის თვითმფრინავში მოხვედრა და იქ დებოშის მოწყობა.

თვითმფრინავში მოხვედრილი 24 წლის მამაკაცის დაშოშმინებას პოლიცია მეგაფონის გზით უშედეგოდ ცდილობდა. არსებული ინფორმაციით, თვითმფრინავთან ახლოს იპოვეს ეჭვმიტანილის დოკუმენტები, ასევე ნაკროტიკული პრეპარატებიც. ეს შემთხვევა კიოლნის აეროპორტში 25 ივლისს მოხდა, თუმცა ცნობილი მხოლოდ ახლა გახდა. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია ბერლინურმა გაზეთმა «ველტ ამ ზონტაგმა» (Welt am Sonntag) გაავრცელა.

მოამზადა თამთა კახაძემ

სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების გამოძიებას რუსეთი ბლოკავს

პირველი გვერდიდან

თუმცა, მკაცრი და კონკრეტული განცხადების მიღება ვერ მოხერხდა, რომელიც სირიის ხელისუფლებას მომხდარის ადგილზე გაეროს ინსპექტორების დაშვებას მოსთხოვდა. გაეროს ინსპექტორები კვირის შემდეგ სირიაში იმყოფებიან ქიმიური იარაღის გამოყენების სხვა შემთხვევების შესასწავლად. ქიმიური იარაღის გამოყენებაში მთავრობა და ამბოხებულები ერთმანეთს ადანაშულებენ. ამ შემთხვევაშიც ეს განცხადება ტრადიციულად რუსეთმა და ჩინეთმა დაბლოკეს. მანამდე დიდმა ბრიტანეთმა, საფრანგეთმა და კიდევ 30-ზე მეტმა სახელმწიფომ გაეროს ამ ფაქტის გამოძიება მოსთხოვეს. მათივე ინიციატივით იყო მოწვეული უშიშროების საბჭოს სხდომა, მაგრამ დასავლეთის მომზადებული განცხადება ვერ გავიდა. გაერო ამ საეჭვო ფაქტის გამოძიებას მაინც მოითხოვს - უბრალოდ, კატეგორიულად ვერა.

სირიის არმიამ ოპოზიციის განცხადებას, რომლის მიხედვითაც ნერვულ-პარალიტიკური გაზის გამოყენებას ათასზე მეტი ადამიანი ემსხვერპლა, ყალბი უწოდა. დამასკოს მტკიცებით, ეს იმ ფალსიფიკაციის ნაწილია, რომლის თანახმადაც სირიაში ერაყის სცენარის გამეორება სურთ.

სირიის რეჟიმის დასაცავად მისი მოკავშირეები, რუსეთი და ირანი გამოდიან. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრ მოჰამედ ჯავად ზარიფის თქმით, შეუძლებელია, სირიის მთავრობა დამაკოსთან ახლოს მომხდარი ქიმიური თავდასხმის უკან იდგეს. «თუ ქიმიური იარაღის გამოყენება დადასტურდა, ეს ნამდვილად ტერორისტული ჯგუფების ნამოქმედარი იქნება,“ - აღნიშნულის შესახებ ირანის პირველმა დიპლომატმა თავის თურქ კოლეგა აჰმეტ დავუთოღლუსთან სატელეფონო საუბრისას განაცხადა. რუსეთის წარმომადგენლები, მათ შორის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური წარმომადგენელი ალექსანდრ ლუკაშევიჩი, ქიმიური ნივთიერებით დატენილი «თვითნაკეთი რაკეტის» გაშვებას ოპოზიციას აბრალებენ.

გაერო ჯერჯერობით ვერაფერს ადასტურებს. ისე, ფაქტის გამოძიებას გაეროს რეზოლუცია არ სჭირდება. ამისთვის საკმარისია, იმ რაიონში, სადაც ეს მოხდა, ორივე მხრიდან შეწყდეს საბრძოლო მოქმედებები (რაიონი აქტიურად იბომბება), რათა იქ ინსპექტორებმა მუშაობა შეძლონ და გაეროს ამ ჯგუფმა ოფიციალური დამასკოგან თანხმობა მიიღოს. ასადის წარმომადგენლებთან შესაბამის მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებს ინსპექტორთა ჯგუფის ხელმძღვანელი ოკე სელსტრიომი.

საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ლორენ ფაბიუსის განცხადებით, თუ დამტკიცდა, რომ სირიის მთავრობამ ქიმიური იარაღი გამოიყენა, აღნიშნულს საერთაშორისო საზოგადოების პასუხი მოჰყვება. თუმცა, BFM-სთვის მიცემულ ინტერვიუში მინისტრმა განაცხადა, რომ სირიაში ჯარების გაგზავნაზე საუბარი არ არის. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრ უილიამ ჰეიგის სიტყვებით, «თუ ინფორმაცია დადასტურდა, ეს იქნება სირიაში ქიმიური იარაღის გამოყენების შოკისმომგვრელი ესკალაცია».

ლოგიკურად, ასეთ დროს სირიის მმართველ რეჟიმს არანაირად არ აძლევდა ხელს და არც სჭირდებოდა ქიმიური იარაღის გამოყენება. ასადის არმია შეტევაზეა გადასული და ფრონტის ხაზზე მაინცდამაინც არ უჭირს, თან ქვეყანაში გაეროს ინსპექტორები სწორედ ქიმიური იარაღის გამოყენების შესასწავლად იმყოფებიან. საკმაოდ ლოგიკურია, რომ ამბოხებულებიდან ვინმეს მოეწყო პროვოკაცია. თან მსხვერპლი იმაზე ბევრად მეტია, ვიდრე ყველა ადრინდელ შემთხვევაში ერთად აღებული. მაგრამ ამ შემთხვევაში სწორედ ოფიციალურ დამასკოს უნდა აძლევდეს ხელს დამოუკიდებელი საერთაშორისო გამოძიება, რათა სიმართლე გაირკვეს.

მეორე მხრივ, ძალიან ძნელია იმ კადრების გაყალბება, რაც ინტერნეტით გავრცელდა. ამდენი ხალხი, მათ შორის პატარა ბავშვები, ასეთ სიმულაციას ვერ შეძლებდა. მათ აღენიშნებათ ქიმიური იარაღით მოწამვლის ყველა ნიშანი - კრუნჩხვები, დაღრჩობის შეგრძნება, გაყინული შიში სახეზე და სხვ. სპეციალისტებს ამ ყველაფერმა ერაყის შემთხვევა გაახსენა, როცა სადამ ჰუსეინმა ქიმიური იარაღი ქურთების წინააღმდეგ გამოიყენა.

ბრედლი მენინგს 35 წელი აკმარეს

პირველი გვერდიდან

ივლისის შემდეგ ბრედლი მენინგისთვის მოვლენები საკმაოდ სასარგებლოდ განვითარდა. მენინგის და მთლიანად „ვიკილიკისის“ დოკუმენტების გამოქვეყნების თემას „24 საათი“ მთელი ოთხი წლის განმავლობაში დაწვრილებით აშუქებდა, ამიტომ მხოლოდ ძირითად მოვლენებზე მოკლედ შევჩერდებით.

ბრედლი მენინგს ჯულიან ასანჟის სკანდალური საიტისთვის 700 ათასზე მეტი საიდუმლო დოკუმენტი ჰქონდა გადაცემული - ერაყის და ავღანეთის სამხედრო ანგარიშები, ვიდეოფაილები და სამსახურებრივი დიპლომატიური მიმოწერა, ძირითადად, საელჩოებიდან სახელმწიფო დეპარტამენტში გაგზავნილი მოხსენებები. დავიწყოთ იქიდან, რომ ივლისში სასამართლომ მენინგი არ ცნო დამნაშავედ ყველაზე სერიოზული მუხლით - მტრისთვის დახმარების აღმოჩენა, რაც გულისხმობდა საიდუმლო პატიმრობას განაჩენის გადასინჯვის უფლების გარეშე. ეს მისმა მომხრეებმა უკვე პირველ სერიოზულ გამარჯვებად აღიქვეს. დანარჩენი მუხლებითაც - შპიონაჟი, აშშ-ს საკუთრების მოპარვა და სხვა, მისთვის შეიძლებოდა, 136 წელი მიესაჯათ. შემდეგ მოსამართლემ, პოლკოვნიკმა დენიზ ლინდმა ამ ბრალდებას კიდევ რამდენიმე მუხლი ჩამოაკლო. მან გაიზიარა დაცვის აზრი, რომ ზოგი მუხლი პროკურატურამ ხელოვნურად დაამატა. აგვისტოს დასაწყისში მაქსიმალური სასჯელი 90 წელზე ჩამოვიდა. ბოლოს, სულ რამდენიმე დღის წინ, ბრალდების მხარემ მისთვის 60 წელი მოითხოვა, ხოლო დაცვის მხარემ - მაქსიმუმ, 25 წელი.

მენინგი რიგ მუხლებში თავის ბრალეულობას თავიდანვე აღიარებდა. წინა კვირაში კი აშშ-სთვის მიყენებული ზიანისა და „მოულოდნელი შედეგებისთვის“ ბოდიში მოიხადა და სასამართლოს სთხოვა, მკაცრად არ დაესაჯათ. ის თავიდანვე აცხადებდა, რომ სამშობლოს ღალატი და მტრისთვის დახმარება არც უფიქრია და დოკუმენტები საზოგადოებაში აშშ-ს საგარეო პოლიტიკის შესახებ ღია დისკუსიის დასაწყებად გამოაქვეყნა, თუმცა სამხედრო ანალიტიკოსს საკუთარი ქმედებების შედეგები უკეთესად უნდა გაეთვალა. დაცვის მხარე ყურადღებას ამახვილებდა დანაშაულის ჩადენის დროს მენინგის მძიმე ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე. კერძოდ, მის პირად, გენდერულ პრობლემებზე (ის თავს ქალად აღიქვამს და სქესის შეცვლის ოპერაციის გაკეთებას ჯერ კიდევ დაკავებამდე აპირებდა), დაძაბულ ურთიერთობაზე „ბოიფრენდთან“ და სხვ. მენინგმა რამდენიმე დღის წინ თვითონ აღიარა, რომ გენდერული პრობლემა აწუხებს, თუმცა ეს მისი საქციელის გამართლება არ არის. ამ ყველაფერს საქმესთან პირდაპირი კავშირი, წესით, არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ მაინც მნიშვნელოვანია, რადგან ადვოკატები ამას არგუმენტებად იყენებენ. დაცვამ სასამართლოს შეახსენა, რომ ერთხელ მენინგმა ფსიქოლოგთან საუბრისას პისტოლეტსაც წამოავლო ხელი. ადვოკატები ფსიქოლოგის სიტყვებზე დაყრდნობით ამტკიცებდნენ, რომ არმიის ხელმძღვანელობა არ რეაგირებდა ამ ფაქტებზე, რომლებიც მიანიშნებდა, რომ მენინგი უცხოეთში სამხედრო სამსახურისთვის გამოუსადეგარი იყო.

35-წლიანი პატიმრობის გარდა, ბრედლი მენინგი სამარცხვინო საქციელისთვის დათხოვნილ იქნა შეიარაღებული ძალებიდან, ჩამოერთვა რიგითის სამხედრო წოდება და ბოლო წლებში კუთვნილი ხელფასის ნაწილი. თუმცა მას ციხეში გატარებული პერიოდი ჩაეთვლება და კიდევ 112 დღე გამოაკლდება - პირველ ხანებში საგამოძიებო იზოლატორში სასტიკი მოპყრობისთვის. სასამართლომ დაცვის ეს მოთხოვნაც გაიზიარა. ამან მთლიანობაში 3,5 წელი შედგინა. შესაბამისად მენინგს ციხეში, მაქსიმუმ, კიდევ 31,5 წლის გატარება მოუწევს, თუმცა სასჯელის ვადა რეალურად ალბათ ბევრად ნაკლები გამოვა. მის განაჩენს განიხილავს და ალბათ ცოტა შეამცირებს სამხედრო ოლქის მეთაური, შემდეგ ის ავტომატურ რეჟიმში გადავა სისხლის სამართლის სააპელაციო არმიის სასამართლოში, ბოლო ინსტანცია კი იქნება აშშ-ს უმაღლესი სასამართლო. სამხედრო მოსამსახურეს უფლება აქვს, კარგი მოქცევისთვის სასჯელის მესამედის მოხდის შემდეგ პირობით ვადამდე გათავისუფლება ითხოვოს. ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის ცნობილი, რამდენი წელი იქნება ეს მესამედი. იურისტების სხვადასხვა გამოთვლით, მენინგი ციხიდან შეიძლება, 9-15 წლის შემდეგ გაუშვან.

ყველაზე ოპტიმისტური 9 წელი „ვიკილიკსმა“ გამოთვალა და საერთოდ, ეს საიტი მენინგის ასეთ მსუბუქ განაჩენს სამართლიანად მიიჩნევს სტრატეგიულ გამარჯვებად. სხვა რომ არაფერი ვთქვათ, ამ პროცესზე არ გამოკვეთილა იმ ტიპის წინასწარი გარიგება მენინგსა და ჯულიან ასანჟს შორის, რაც ამ უკანასკნელისთვის აშშ-ში ბრალდების წაყენებას გულისხმობს. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ამის შესახებ არაფერი თქმულა. შესაბამისად, კლებულობს მისი აშშ-სთვის გადაცემის საფრთხე დიდი ბრიტანეთიდან შვედეთში ექსტრადიციის შემთხვევაშიც კი, სადაც მას სექსუალური ხასიათის ბრალდებას უყენებენ. ამჯერად ასანჟი კვლავ ლონდონში ეკვადორის საელჩოს აფარებს თავს.

მენინგის მომხრეები და „ემნესტი ინტერნეიშენალი“ პეტიციაზე ხელმოწერებს აგროვებენ, რომ აშშ-ს პრეზიდენტს მენინგის დაუყოვნებლივი გათავისუფლება სთხოვონ. ადვოკატებმაც განაცხადეს, რომ თავიანთი კლიენტის შეწყალების თხოვნით პრეზიდენტ ობამას ოფიციალურად მიმართავენ. თეთრი სახლის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ასეთ თხოვნას, თუ ის ადმინისტრაციამდე მივა, ჩვეულებრივი, დადგენილი პროცედურების დაცვით განიხილავენ. ეს ალბათ სასამართლო ინსტანციების ბოლომდე გავლის შემდეგ იქნება შესაძლებელი. თუმცა მისი დაუყოვნებლივ შეწყალება, ჯერჯერობით მაინც, ნაკლებ სავარაუდოა.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ მენინგმა თავი ქალად ოფიციალურად აღიარა და ისურვა, რომ მას ჩელსი მენინგი ერქვას. ის ბავშვობიდანვე ქალად გრძნობდა თავს და ამას არასდროს მალავდა. მას სურს, ჰორმონოთერაპია რაც შეიძლება მალე დაიწყოს. მისი ადვოკატები მიიჩნევენ, რომ ამის გაკეთება ციხის პირობებშიც შესაძლებელი იქნება.

ორმოცი ფილმი ადამიანის უფლებებზე

პირველი გვერდიდან



პირადად მე, მაგალითად, დიდი ინტერესებით ვუყურებდი CNN - ის შაბათ-კვირის სპეციალურ პროექტებს, რომელიც მაყურებელს ყოველწლიურად სთავაზობდა დოკუმენტური თხრობის სერიებს ისეთ თემებზე, როგორიცაა შავი ამერიკაში“ (Black in America. აფრო-ამერიკელების შესახებ), ლათინო ამერიკაში“ (Latino in America. ლათინო-ამერიკელების შესახებ) და „მებრძოლები“ (Fighters). ეს უკანასკნელი კი მოგვითხრობს ანტიტრეფიკინგული მოძრაობის ფილიპინელი აქტივისტის სესილია ფლორეს ოებანდას შესახებ, რომელიც ფილიპინებზე ბავშვების თუ მოზრდილების სექსუალური მონობისგან გასათავისუფლებად იბრძოდა. ამ ადამიანზე ფილმის გადასაღებად CNN- ის ჟურნალისტებმა ორი წელი ფილიპინებზე გაატარეს და თავის ფირზე ერთი ჩეულებრივი ქალის საქმიანობა ასახეს, რომელმაც იმ ათასობით თანამემამულის სიცოცხლე გადაარჩინა, რომლებსაც მამაკაცი მყიდველები“ კომპიუტერის ერთი დაწკაპებით ყიდულობდნენ და ყიდულობენ.

სამოქალაქო აქტივიზმი, ადამიანის უფლებისთვის ბრძოლა და ანტიდისკრიმინაციული პოლისი“ აშშ -ის დაარსებიდანვე მისი ისტორიის განუყოფელი ნაწილია. ყოველწლიურად ქვეყნის მასშტაბით არაერთი კინოფესტივალი იმართება, რომელიც სწორედ სამოქალაქო/ ადამიანის უფლებების მნიშვნელობასა და მისი დაცვის ყოველდღიურ რუტინას ეძღვნება. ნიუ იორკული ზაფხული ამ მხრივ წლის მოსავლიანი სეზონია. გარდა სხვადასხვა ფესტივალებზე ნაჩვენები ფილმებისა, რომლის სიუჟეტები ადამიანის უფლებების თემატიკის შემცველ განსხვავებული ფორმატის კინოპროდუქციას წარადგენს, არსებობს თემატური კინოფორუმებიც, როგორიცაა, მაგალითად, ორგანიზაცია Human Rights Watch -ის კინოჩვენებები ანდა ბრუკლინის სამუსიკო აკადემიის (BAM) კინოფესტივალი სახელწოდებით სიმწვავის დრო: სამოქალაქო უფლებების მოძრაობის კინო“. ეს კინოფორუმი დაემთხვა მედიის მიერ კარგად გაპიარებული კინორეჟისორ ლი დენიელსის ისტორიული დრამის მსახურთუფროსი“ პრემიერას, რომელიც თეთრ სახლში მომუშავე აფრო-ამერიკელი მსახურთუფროსის ცხოვრების შესახებ მოგვითხობს. სესილ გეინისი რვა პრეზიდენტს ემსახურებოდა, მისი ცხოვრების ფონზე კი ნაჩვენებია აშშ -ის ისტორიის ყველა ძირითადი ეტაპი - სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა, მართინ ლუთერ კინგის მკვლელობა, ვიეტნამის ომი, არჩევნებში ბარაკ ობამას გამარჯვება და ქვეყნის სხვა მნიშვნელოვანი მომენტები.

ბრუკლინის სამუსიკო აკადემიის კინოფესტივალის ფარგლებში ამერიკის სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლის ამსახველ ორმოც ფილმს აჩვენებენ. ბუნებრივია, რეტროსპექტივა გაიხსნა სიდნი ლუმეტის ოსკარზე ნომინირებული ფილმით კინგი: გადაღებული ჩანაწერი... მონთგონერიდან მემფისისკენ“ (1970). დოკუმენტური კადრები მოგვითხრობენ მართინ ლუთერ კინგის ბიოგრაფიას რეგიონალური აქტივისტიდან ვიდრე არაძალადობრივი მოძრაობის მსოფლიოში სახელგანთქმულ ლიდერამდე, რომელიც სოციალური სამართლიანობისთვის იბრძოდა. ფილმში კინგის ბიოგრაფიული ეპიზოდებისა და ამ ადამიანის მნიშვნელობის შესახებ გვიყვებიან ჰარი ბელაფონტე, ბარტ ლანკასტერი, რუბი დი, ჯოან ვუდვარდი, პაულ ნიუმანი და ამერიკული ხელოვნების სხვა წარმომადგენლები. ორი ფილმი ბავშვები აკვირდებოდნენ“ (1961) და კრიზისი. პრეზიდენტის მოვალეობის მიღმა“ (1963) რეჟისორ რობერტ დრიუს უნიკალური კინოდოკუმენტალისტიკაა. პირველი ფილმი იშვიათი ვიდეომასალაა, რომელიც მოგვითხობს ნიუ ორლეანის სკოლებში დესეგრეგაციის პოლიტიკის დამკვიდრების პრობლემების შესახებ, როცა თეთრმა სკოლებმა“ და თეთრმა მშობლებმა“ თანასწორუფლებიანობის პრინციპი გააპროტესტეს. მეორე ფილმის მასალა კი ასევე ექსკლუზიური კადრებია, რომელიც მაშინაა გადაღებული, როცა რეჟისორს თეთრ სახლსა და ოვალურ კაბინეტში ინსაიდერად ყოფნის შანსი მიეცა და მას ქვეყნის პოლიტიკის კეთების ვიდეოაღნუსხვის პარალელურად ძმები კენედების პირადი ცხოვრების დაფიქსირების უფელებას მისცეს - ფილმის გადაღების დროს გადამღებ ჯგუფს პრეზიდენტის ოჯახში ყოფნაც მოუხდათ. ბარაკ ობამას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ კი გაზეთმა ნიუ იორკ თაიმსმა“ აფრო-ამერიკელ სახელმწიფო ლიდერს უპირველესად ამ ფილმის ნახვა ურჩია.

BAM -ის დაბრაზებში საფესტივალო პროგრამის მიხედვით ასევე აჩვენებენ რეჟისორ რობერტ მალიგანის ნუ მოკლავ ჯაფარას“ (1962) - ჰარპერ ლის პულიტცერის პრემიით დაჯილდოვებული რომანის ეკრენიზაციას, რომელიც ამერიკაში ეკონომიკური დეპრესიის პერიოდისდროინდელ რასიზმს, სეგრეგაციას, საერო და სასულიერო ძალაუფლების, კანონისა და ცრურწმენების ურთიერთმიმართებას ასახავს. ჰარპერ ლის ეს ნაწარმოები აშშ -ის სკოლების ოთხმოცმა პროცენტმა სასკოლო პროგრამაში შეიტანა. აფრო-ამერიკელი რეჟისორის გორდონ პარკის ფილმი სასწავლო ხე“ (1969), რომელიც ავტობიოგრაფიულ სიუჟეტს ეყრდნობა, მოგვითხრობს ამერიკულ სოფელში რასიზმისა და ძალადობის პრობლემატიკაზე. სხვათა შორის, ეს რეჟისორი პირველი აფრო-ამერიკელია, რომელმაც ჰოლივუდის სტუდიაში ფილმი გადაიღო. ასევე ნაჩვენები იქნება ცნობილი რეჟისორ - დოკუმენტალისტის ჯორჯ სტონის სცენარის მიხედვით გადაღებული ორი ფილმი ყველა ჩემი შვილი“ (1952) და პალმოურის ქუჩა“ (1957). პირველი შეიქმნა, როგორც ბებია - ქალებისთვის სასწავლო ფილმი სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების, სამედიცინო და ფეხმძიმე ქალების მოვლის წესების, მათ შორის ჯანსაღი კვების, ლაბორატორიული ანალიზებისა და ექიმთან ვიზიტების საჭიროების პროპაგანდისტი და მშობიარობის პროცესის ამსახველი, რომელშიც მოქმედება ჯორჯიის შტატის ერთი სოფლის აკუშერი ქალის თხრობის ფონზე მიმდინარეობას. ფილმში ნაჩვენებია მშობიარობის, ჭიპლარის გადაკვანძვისა და პლაცენტის დაბადების“ პროცესი. ყველა ჩემი შვილი“ იუნესკოს“ მიერ მთელს მსოფლიოში გამოყენებეული იქნა, როგორც სასწავლო ფილმი და იგი Non -Fiction ფილმის კლასიკადააცაა მიჩნეული. პალმოურის ქუჩა“ კი იმ დროისთვის რევოლუციური მოვლენა იყო, რადგანაც საპნის ოპერისა და სოციალურ-საგანმანათლებლო ნარატივის კომბინაციას წარმოადგენდა. იგი აღწერს ეკონომიკურად შეჭირვებული აფრო-ამერიკული ოჯახის ყოველდღიურ ცხოვრებას და ოჯახის წევრების ფსიქიკური ჯანმრთელობის ასპექტებს.

ედ ბლანდის ფილმი ჯაზის წამოძახილი“ (1959) აფრო-ამერიკული დამოუკიდებელი კინოს ნიმუშად ითვლება, რომელშიც ჯაზი აფრო-ამერიკელების კულტურული იდენტობისა და მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენადაა აღნიშნული. რეჟისორმა 60 მოხალისის მეშვეობით შავი კვარტლების ყოველდღიური ცხოვრების სცენების რეკონსტრუირება შეძლო. ფილმში მოცემულია ინტერვიუები ჯაზორკესტრის ხელმძღვანელთან, კომპოზიტორთან, ინსტრუმენტალისტთან. საზოგადოებაში ფილმისადმი არაერთგვაროვანი დამოკიდებულება არსებობდა, ამიტომაც პრემიერის დღეს ფილმის პრეზენტაციის მოწინააღმდეგეებმა არეულობა მოაწყვეს, პოლიცია კი იძულებული იყო წესრიგი დაემყარებინა.

წელს აშშ ემზადება ამერიკის ისტორიაში ერთ - ერთი საკვანძო თარიღის, ვაშინგტონზე მარშის 50 წლისთავის აღსანიშნავად. ნახევარი საუკუნის წინ 1963 წლის 28 აგვისტოს ამერიკის დედაქალქში შედგა ამერიკის ისტორიაში ერთ - ერთი ყველაზე მაშტაბიანი პოლიტიკური მიტინგი, რომელიც აფრო - ამერიკელებისთვის სამოქალაქო და ეკონომიკურ უფლებებს მოითხოვდა. სწორედ ამ დღეს, მართინ ლუთერ კინგმა ლინკოლნის მემორიალის წინაშე 250 ათასი ადამიანის თანდასწრებით (შეკრებილთაგან 70-80 პროცენტი შავკანიანები იყვნენ, დანარჩენნი კი - თეთრკანიანები) მისი ცნობილი სიტყვა მე მაქვს ოცნება“ წარმოთქვა.

კინორეტროსპექტივა სიმწვავის დრო: სამოქალაქო უფლებების მოძრაობის კინო“, ერთის მხრივ, ქვეყნის ისტორიის დოკუმენტურად ამსახველი ფორუმია და, მეორეს მხრივ, სკოლის მოსწავლეებისთვის, სტუდენტებისთვის თუ ნებისმიერი დაინტერესებული პირთათვის ძლიერი პროფესიონალი და საინტერესოდ მოსაუბრე ისტორიკოსი პედაგოგიც.

დანართი №1. (2 ფურცელი)
დამტკიცებულია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის
2013 წლის "21 აგვისტოს "
№ ს-244 ბრძანებით

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. წონიარისის მიმდებარე ტერიტორია, „მდინარე აჭარისწყლის ქვიშა ხრეშის გამოვლინება"- უბანი- V. (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 16 000 მ³,)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. წონიარისის მიმდებარე ტერიტორია,
7	აუქციონის საწყისი ფასი	2 783 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	278,3 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1000 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 27 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 27 სექტემბერ დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 27 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2		
ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	245444844
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. ბათუმი, კომახიძის ქ № 119 / 0422 27 35 10
3	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
4	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ბ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე საქართველოს ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ დადგენილი მოთხოვნები.
5	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. წონიარისის მიმდებარე ტერიტორია, „მდინარე აჭარისწყლის ქვიშა ხრეშის გამოვლინება"- უბანი-VI. (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა 15 900 მ³,)
6	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ქედის მუნიციპალიტეტი, სოფ. წონიარისის მიმდებარე ტერიტორია,
7	აუქციონის საწყისი ფასი	2 766 ლარი
8	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	276,6 ლარი
9	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკლებელი	1000 ლარი
10	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2013 წლის 26 აგვისტოს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 27 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
11	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2013 წლის 27 სექტემბერს დღის 12.00 საათზე და დასრულდება 2013 წლის 27 სექტემბერს დღის 18.00 საათზე
12	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
13	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

შესწორება

სს ადო ჯორჯია მაინინგი"-ს ბარიტის გამამდიდრებელი საწარმოს მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტის საჯარო განხილვის დანიშვნის თაობაზე, გაზეთ 24 საათი"-ს 17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებულ განცხადების ბოლო აბზაცი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 1 ოქტომბრის 18 საათამდე".

სს ადო ჯორჯია მაინინგი"-ს ადმინისტრაცია

შესწორება

შპს ბილჯ ვოტერ"-ის ლიალური წყლების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე, გაზეთ 24 საათი"-ს 17 აგვისტოს ნომერში გამოქვეყნებული განცხადების ბოლო აბზაცი შეიცვალოს შემდეგი რედაქციით:

საზოგადოებისაგან საკუთარი მოსაზრებების წარმოდგენის ვადაა 2013 წლის 1 ოქტომბრის 18 საათამდე".

შპს ბილჯ ვოტერ"-ის ადმინისტრაცია

ნოკაუტი

პირველი გვერდიდან

თამაშმა დაგვანახა, რომ ძალთა დაპირისპირება აშკარად არაპროპორციული იყო. ლონდონელები სხვა წონით კატეგორიაში არიან და ასეთ გუნდთან თამაში «დინამოს» ძალებს აღემატება. დისბალანსი შეიმჩნეოდა ყველა რგოლში, დაცვაშიც, ნახევარდაცვაშიც და თავდასხმაშიც. «ტოტენჰემი» «დინამოს» ყველა კომპონენტში სჯობდა. დავინახეთ, რომ ამას გარდა, საქართველოს ჩემპიონს ფსიქოლოგიური პრობლემაც აქვს. მას არ შეუძლია ძლიერ მეტოქესთან თამაშისთვის სათანადოდ განეწყოს. თითქოს რიდიც შეინიშნებოდა, თითქოს კომპლექსიც, რომ ინგლისელები ჩვენზე უკეთესები არიან, ამიტომ გაბითურებას სჯობს ზედმეტად არ ვიაქტიურო, რომ შეცდომისთვის არავინ დამძრახოს... ყოველ შემთხვევაში, გარედან ასე ჩანდა. თბილისელები მეტოქეს ხისტადაც ვერ ეთამაშებოდნენ. ვერც პერსონალურ თამაშში გამოიჩინეს თავი, ვერც ართმევაში, არც პრესინგი გამოუვიდათ. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ გუნდი უბრალოდ იდგა და მეტოქის თამაშს ადევნებდა თვალს. ეს, პირველ რიგში, ფსიქოლოგიურ პრობლემაზე მიუთითებს. ამიტომ მოხდა, რომ ინგლისელებმა ისე გაგვანადგურეს, ხეირიანად ოფლიც არ გამოსვლიათ.

პრობლემაა, რომ გაშვებული გოლის შემდეგ გუნდი ბრინჯივით იბნევა. აღარ იცის, რა გააკეთოს. ასე იყო «სტიაუასთან» და ასე მოხდა გუშინაც. მე-12 წუთზე გაშვებული გოლის შემდეგ «დინამო» გუნდს აღარ ჰგავდა. მოიშალა კავშირი დაცვასა და ნახევარდაცვას, ნახევარდაცვასა და თავდასხმას შორის. ვეღარ ხერხდებოდა ზედიზედ რამდენიმე ხეირიანი გადაცემის გაკეთებაც კი, რომ აღარაფერი ვთქვათ გააზრებულ შეტევებზე. პირველ ტაიმში ერთადერთი გამონათება ჯაბა დვალის თავური იყო, რომელიც უგო ლორისმა ნახტომით მოიგერია. დანარჩენ შემთხვევაში თამაშს მთლიანად ლონდონელები აკონტროლებდნენ, რომლებიც საუკეთესო შემადგენლობით არ თამაშობდნენ. გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშე აკლდა (ბეილი, ვერტონგენი, ლენონი), თუმცა ამას სტუმრებისთვის ხელი არ შეუშლია, მოედნის სრული ბატონ-პატრონები ყოფილიყვნენ. არადა, «დეზებიანი მამლების» დიდი პატივისცემის მიუხედავად, ფაქტია, რომ «ტოტენჰემ ჰოთსპური» ინგლისური პრემიერლიგის მეხუთე გუნდია და არა პირველი...

სწორედ ეს არის ხიდჩატეხილობის პრობლემა, რომ არ შეგვწევს უნარი ინგლისის თუნდაც მეხუთე გუნდს, მოგებაზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ღირსეულად ვეთამაშოთ და საკუთარ მინდორზე მაინც არ შევრცხვეთ. გული იმაზე მწყდება, რომ ერთი სომეხი და ერთიც ლიტველი ფეხბურთელით გაძლიერებული ყარაგანდის «შახტარი» გლაზგოს «სელტიკს» ამარცხებს, ჩვენ კი საკუთარ მოედანზე - 0:5 ვნადგურდებით. ვერც იმას ვიტყვით, რომ ყარაგანდელები განსაკუთრებული ბიუჯეტით ან საოცარი ინფრასტრუქტურით გამოირჩევიან, მაგრამ გუნდი ღირსეულ თამაშს ახერხებს. ჩვენ ვერა.

გამოდის, რომ მარტო ინფრასტრუქტურა არ ყოფილა ქართული ფეხბურთის პრობლემა. თავიდათავი მაინც არასწორი მენეჯმენტი და მიდგომაა. ქართულ კლუბებში არ არსებობს ჯაჭვი, რომელიც თაობებს ერთმანეთთან დააკავშირებს და ახალგაზრდა ფეხბურთელების გაზრდას შეუწყობს ხელს. არ არსებობს სკოლა, რომელიც მოზარდს გარდატეხის ასაკიდან, ზრდასრულ ასაკამდე პროფესიონალად ჩამოყალიბებაში დაეხმარება. მისცემს მას საშუალებას ითამაშოს სწორი ფეხბურთი.

რომან ფიფიამ სწორი ტაქტიკა აირჩია, როცა აქცენტი «დინამოს» ახალგაზრდა აღსაზრდელებზე გადაიტანა და ცდილობს პირველ გუნდში მათ ინტეგრაციას, მაგრამ ამას დრო და ბავშვთა გუნდებში გამოცდილი სპეციალისტების მოზიდვა სჭირდება, რომლებიც მოზარდებს თანამედროვე, სწორი ფეხბურთის თამაშს ასწავლიან. «დინამოს» რომ ბავშვთა სკოლებში ისეთი სპეციალისტები ჰყავდეს, როგორებიც «აიაქსს», «ნანტს» ან «მილანს» ჰყავს, გუნდი აშკარად სხვა სიმაღლეებს წაეპოტინებოდა.

მანამდე კი ისევ - აბა-ულა, ქართველებო!

დინამო (თბილისი) - ტოტენჰემი 0:5 (0:2)

დინამო : ლორია, ხურცილავა, გლიშიჩი (პაპავა 46), კვარაცხელია, კვირკველია, ძარია (გოგა 81), გველესიანი, გრიგალაშვილი, მერებაშვილი, ჩისკო (ვუო 42), დვალი

მწვრთნელი: დუშან უჰრინი

«ტოტენჰემი»: ლორისი, როუზი, ქაბული, დაუსონი, ნოტონი, თაუნსენდი, კაპო, პაულინიო (კეროლი 71), სიგურდსონი (შადლი 61), დემბელე, სოლდადო (კეინი 72)

მწვრთნელი: ანდრე ვილაშბოაში

გოლები: 0:1 თაუნსენდი (13), 0:2 პაულინიო (44), 0:3 სოლდადო (59), 0:4 როუზი (65), 0:5 სოლდადო (68)

გაფრთხილება: გველესიანი (21), ხურცილავა (30); დემბელე (38), როუზი (60),

მსაჯი: პოლ ვან ბოკელი (ჰოლანდია)

ანანიძე სიზმარში მეტოქე გუნდს ხედავს

როსტოვში იჯარით მყოფი მოსკოვის „სპარტაკის“ ქართველი ლეგიონერი ჯანო ანანიძე ახალი კლუბის მაისურის მორგების შემდეგ უყურადღებობას არ უჩივის. მიზეზი მისი სათამაშო ოსტატობაა, რომლის გამოვლენის საშუალებასაც როსტოველები აძლევენ. ამის დასტურია რუსეთის პრემიერლიგის მეხუთე ტურში «ვოლგას» წინააღმდეგ სანიმუშო თამაში, სადაც, გოლისა და ორი საგოლე გადაცემის წყალობით, „როსტოვში“ იჯარით მყოფი ჯანო ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს.

საქართველოს ნაკრების წევრს 26 აგვისტოს მეექვსე ტურში მოსკოვის «ლოკომოტივთან» უწევს თამაში. გუშინ დილით გამართული ვარჯიშის შემდეგ კი როსტოვული კლუბის ოფიციალურმა ვებგვერდმა ქართველ ლეგიონერს ჩამოართვა მცირე ინტერვიუ, რომელშიც, სხვა საკითხებთან ერთად, ჯანო ანანიძე „ლოკომოტივთან“ მომავალ მატჩზეც საუბრობს.

- „ვოლგასთან“ შენთვის ტკბილად გასახსენებელი თამაშის ჩანაწერს თუ უყურე?

- დიახ. ტურის მიმოხილვას ვუყურე. არ დავმალავ, ერთი სიამოვნება იყო ჩვენი თამაშის ყველაზე საინტერესო მომენტების ნახვა. ამას ვამბობ არა მარტო იმ ეპიზოდებზე, რომლებიდანაც ჩემი მონაწილეობით გოლები გავიდა. კარგი იყო ის მომენტებიც, როცა ჩვენს სწრაფ და ლამაზ კომბინაციებს გოლები არ მოჰყვა.

- სეზონის დასაწყისი თქვენთვისაც და გუნდისთვისაც წარმატებული აღმოჩნდა...

- მართლაც... მაგალითად, მთელი წინა სეზონის განმავლობაში სამი გოლი გავიტანე და ოთხი საგოლე პასი მივითვალე. ამ ჩემპიონატის ოთხ მატჩში კი უკვე გოლი და ოთხი პასი დამიგროვდა, რის შედეგადაც ჩემმა პარტნიორებმა გაიტანეს.

ღმერთმა ქნას, ასე გაგრძელდეს.

- ჩვენს უახლოეს მეტოქე „ლოკომოტივთან“ როგორი დამოკიდებულება გაქვთ?

- ვფიქრობ, კარგი. სწორედ „ლოკოსთან“ იყო 2009 წელს ჩემი დებიუტი „სპარტაკში“. მაშინ „ლუჟნიკებზე“ თავით გავიტანე გოლი. ამის შემდეგ კიდევ იყო ერთი მატჩი, როდესაც ძიუბას პასით გავიტანე.

იქნებ ახლაც შევძლო გულშემატკივრის გახარება, ოღონდ არა სპარტაკელების, არამედ - როსტოველების.

- მიმდინარე სეზონში „ლოკომოტივის“ თამაში თუ ნახეთ?

- დიახ და მომეწონა კიდეც ეს გუნდი. მოთამაშეთა კარგი კრებული ჰყავთ, რომლებიც მუდამ ცდილობენ, შეუტიონ. „ლოკოს“ შეტევითი პოტენციალი საკმაოდ მაღალია.

- მეტოქეთა გუნდში ვინმეს ახლოს ხომ არ იცნობთ?

- რომან შიშკინს - „სპარტაკიდან“.

- რის ხარჯზე შეიძლება მოსკოვში „რკინიგზელთა“ დამარცხება?

- დაცვაში ყურადღებით და შეკრული თამაშით. ისე როგორც ეს მახაჭყალაში გავაკეთეთ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გოლი არ უნდა გავუშვათ, რაც ბოლო სამ მატჩში მოვახერხეთ. მეტოქის კართან საგოლე მომენტებს ალბათ შევქმნით და მხოლოდ მათი გამოყენება იქნება საჭირო.

სხვათა შორის, დღეს სიზმარში ვნახე, თითქოს „ლოკომოტივთან“ ვითამაშეთ და 2:1 მოვიგეთ. ვინ იცის, იქნებ ამიხდეს სიზმარი?!

ძიუდოისტთა ნაკრები რიო დე ჟანეიროში მსოფლიო ჩემპიონატისთვის ემზადება

რამდენიმე დღეა, საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრები ბრაზილიაშია და რიო დე ჟანეიროს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მზადებას განაგრძობს. ჩემპიონატი 26 აგვისტოს დაიწყება და 1 სექტემბერს დასრულდება.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ირაკლი უზნაძემ ბრაზილიაში ასეთი შემადგენლობა წაიყვანა: 60 კგ. - ამირან პაპინაშვილი, 66 კგ. - ლაშა შავდათუაშვილი, 73 კგ. - ზებედა რეხვიაშვილი, ნუგზარ ტატალაშვილი, 81 კგ. - ავთანდილ ჭრიკიშვილი, ლევან ნიკლაური, 90 კგ. - ვარლამ ლიპარტელიანი, 100 კგ. - ლევან ჟორჟოლიანი, +100 კგ. - ადამ ოქრუაშვილი. გუნდთან ერთადაა ნოდარ მეტრეველიც (100 კგ.), რომელიც გუნდურ პირველობაში იასპარეზებს.

ტურნირს დაესწრება საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი ლევან ყიფიანი, რომელიც ოფიციალური ვიზიტით იმყოფება ბრაზილიაში, სადაც რამდენიმე ოფიციალური შეხვედრაცაა დაგეგმილი. კერძოდ, ყიფიანი, საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტ დავით ქევხიშვილთან ერთად, გუშინ დაესწრო ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის (IJF) კონგრესს, დღეს კი ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს და ასევე სპორტულ ორგანიზაცია „სპორტ აკორდის“ პრეზიდენტს მარიუს ვიზერს შეხვდება. ამ შეხვედრაზე ქართული ძუდოს განვითარებასა და სხვადასხვა პროექტის განხორციელებაზე იქნება საუბარი.

მინისტრის სამხრეთ ამერიკაში ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია შეხვედრები სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებთან და სპორტზე პასუხისმგებელ პირებთან.

პირველად ქართული ძიუდოსა და ტელევიზიის ისტორიაში, გულშემატკივრებს საშუალება ექნებათ „GMG სპორტი 1“-ის ეთერში თვალი ადევნონ მსოფლიოს ჩემპიონატს სრულად - როგორც ფინალურ, ისე წინასწარ შეხვედრებს.

შეხვედრები ყოველდღე თბილისის დროით 17:00 საათზე დაიწყება, 16:30-დან კი წამყვანი ზურაბ უსუფაშვილი, სტუდიაში მოწვეულ სტუმართან ერთად, ჩემპიონატის შესახებ ისაუბრებს.


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
elite 2013
MODEL LOOK
GEORGIA
MODEL MANAGEMENT
kikala studio
MAX
OUtdooR.ge
MSG
ADSSPRINT
McCANN
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
ego
GHN
ANGEL
24 Saati
allmovies.ge
Pink